



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 24 _____

ქალაქი ქუთაისი 18 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე
სხდომის მოწვევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ** :

მუხლი 1. მოწვეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომა მ/წლის 25 იანვარს, 12.00 საათზე /სხდომის ჩატარების ადგილი: ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი, რუსთაველის გამზირი №3/.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29-ე სხდომაზე წარდგენილ იქნეს **დ დ ის წ ე ს რ ი გ ის** შემდეგი პროექტი:

1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 14 დეკემბრის N151 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი კ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ვ.ქავთარაძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

4. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

5. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის N116 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით /სასყიდლოდ, პირობებით/, სარგებლობაში გაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

8. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, თხოვნის ფორმით, უვადო სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

9. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპეციალური სერვისებისათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლოდ/, შპს „იმედი XXI საუკუნესათვის“ სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

11. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით /სასყიდლოდ, პირობებით/, მოქალაქე თამარ თამაზაშვილისათვის იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ბატონი შ.მურდულია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

ბატონი ჯ.გოგრიჭიანი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკონომიკური განვითარებისა და
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების
მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე

12. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ 2006–2015 წლებში მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით შექმნილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენისა და ამ ჯგუფისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

ბატონი გრ. .ქობალიანი
დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

ბატონი ი.ჟორჟოლიანი
საკრებულოს აპარატის უფროსი

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დვალი